რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

# ცნობის

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.
ადრესი
Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели“


## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

## „ცნობის ფურცელი“

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

**თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ. მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შეასრულებდნენ.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.

## რედაქციისაგან

„ცნობის ფურცლის“ ნომრები 1-დამ მე-12-მდე, დასტამბული 1500 ეგზემპლიარად, უკვე დაურიგდა ხელის მომწერნთ. ახალნი ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ მხოლოდ მე 13 №-დან.

ქ. ქუთაისი
ქალაქის თეატრი
ქართული დრამატ. საზოგადოების დასის
რეპერტუარი
მეორე წარმოდგენა
ოთხშაბათს, 6 ნოემბერს
**ხათაბალა**
კომედია 4 მოქმედ. და 6 სურ. გ. ნ. სუნდუკიანცისა
მესამე წარმოდგენა
კვირას, 10 ნოემბერს
**ჟან-ბოდრი**
კომედია 4 მოქმედ. თარ. ფრანგულიდგან.

ამ პიესებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, ჩხეიძისა, ივანიძისა. ბ-ნი: აბაშიძე, ყიფიანი, მარჯანიშვილი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, ნემო, გიორგაძე, თამაზიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი—კ. შათირიშვილი.
(10—ფ.—5)

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 6 ნოემბერს 1896 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ქალბ. საფაროვის და ვ. აბაშიძის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნება:
I
**ციმბირელი**
კომ. 4 მოქ. თხზ. ა. ცაგარლისა.
II
**ტოლი-ქმრობის წინააღმდეგ**
კომედია 1 მოქმედებად.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი და სხვა.
**ადგილების ფასი ჩვეულებრივია**
დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი: ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ე. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. ზუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. ზუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამკ. ხალისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).

4 ნოემბერი.

**რომი.** იტალიის მთავრობას ოფიციალური ცნობა მოუვიდა, რომ შერიგება აბისინეთთან 4 ოკტომბერს მოხდაო. ამავე რიცხვს მენელიკმა დეპეშით აცნობა ეს გარემოება კოროლ გუმბერტს: მორიგების პირობები შემდეგია: გაუქმება გრეჩიალის ხელ-შეკრულობისა; ეთიოპიის სრული და მოუკიდებლობა; დანიშნვა გამსაზღვრელის კამისიისა. დროებით საზღვრად დანიშნულია მარებ-ბელეზა-მუნა; ხელ-მოწერილი ხელშეკრულობა ორივე მხარეს უნდა ჩაბარდეს ერთის თვის განმავლობაში; ყველა ტყვეთა განთავისუფლება, ტყვეთა წარგზავნა სამობლოში ხარარასა და ზოილუზედ; ტყვეთა შენახვის ხარჯის გადახდა იმ დაფასებით, რომელსაც იტალიის მთავრობა მოახდენს კეთილ სინიდისერად

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 4 ნოემბერს, კრება იყო ქალაქის საბჭოსი, რომელმაც მთელი საღამო მოახმარა მხოლოდ ერთს საქმეს, მოხსენებას გამგეობისას მასზედ, რომ დაწესებულ იქმნას განსაკუთრებული გარდასახადი ასაშენებლად მუშათა სამკურნალოსი. ამ საგნის შესახებ ბევრი სხვა-და-სხვა აზრი იქმნა წარმოთქმული. ზოგნი ამბობდნენ, რომ პირდაპირა ვთხოვოთ ხარჯის გაწერა არა მარტო მუშა ხალხზედ, არამედ ყველა მოქალაქეზედ, რათა დაწესდეს ისეთი სამკურნალო, რომელშიაც მუქთად შეეძლოს წამლობა ყველა მცხოვრებელს, რომელიც-კი მოიწადინებს დაწოლას სამკურნალოში. სხვები კი ჰფიქრობდნენ, რომ რადგან ასეთი საყოველთაო ხარჯი არა არსებობს რუსეთის არც ერთ ქალაქში, და რადგან თვით პეტერბურგის საბჭოს უარი უთხრა სამინისტრომ ამისთანა ხარჯის შემოღებაზედ, ამიტომ ვიკმაროთ იმ გვარი ხარჯი, როგორიც სხვა ქალაქებშიაც ნებადართულია, ესე იგი მარტო მუშა ხალხზედ, რომელსაც უწინარეს უჭირს სამკურნალო და პატრონობაო; ხოლო შემდეგ, როდესაც ამ ხარჯის უფლებას მიიღებს ტფილისი და ამავე დროს სხვაგან სადმე შემოიღებენ საყოველთაო ხარჯს, მაშინ ჩვენც შეგვიძლიან ვითხოვოთ ამისი უფლება. კენჭის ჩამოტარების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საბჭოს უმრავლესობამ არ მოინდომა მარტო მუშათა ხარჯის დაწესება. ამ სახით, მოხსენება გამგეობისა უარ ჰყო საბჭომ. მაშინ ხმოსნებმა მოსთხოვეს გამგეობას, რომ მოკლე ხნის განმავლობაში შეჰკრიბოს ცნობები, რა მიზეზით უთხრა სამინისტრომ უარი პეტერბურგის თვით-მმართველობას საყოველთაო ხარჯის დაწესებაზედ და ამასთანავე შეიტყოს ახალი საბუთები, რომელნიც პეტერბურგს წარუდგენია და რომელთა ძალითაც ხელ-მეორედ ითხოვს იგი ამ ხარჯსა. გარდა ამისა გამგეობამ უნდა გამოიანგარიშოს, თითო მცხოვრებელზე რამდენი უნდა დაწესდეს ეს ხარჯი, წელიწადში რამდენი კაცი ხდება ტფილისში ავად, რამდენს უჭირს სამკურნალო, რამდენი საწოლი დას

ჰირდება საყოველთაო საავადმყოფოს, რამდენი ექიმი, მოსამსახურე, როგორი შენობა მოუნდება სამკურნალოს, რას დაიჭერს ყოველ-წლიური ხარჯი მის შესანახავად და რა მოუნდება საქმის პირველ დაწყობას. როდესაც ეს საბუთები და ცნობები ექმნება გამგეობას ხელში, მაშინ მან უნდა წარუდგინოს საბჭოს ახალი მოხსენება და მის კვალადობაზედ ან ისევ მუშათა გარდასახადზედ დადგება საბჭო, ან საყოველთაოზედ. კრებამ გასტანა თითქმის თორმეტ საათამდე და ამიტომ დანარჩენი საქმეები გადადებულ იქმნა შემდეგს კრებამდე.

*** ინგლისის გაზეთ „Times“-ის 100 წლის დაარსების დღე იდღესასწაულეს 9 ნოემბერს (ახ. სტილის). ამ შემთხვევისათვის ახლად დაიბეჭდა გაზეთის 1 №, ისე, როგორც 1796 წ. 9 ნოემბერს იყო დაბეჭდილი. პირველ ნომერში 4 გვერდი იყო, ამათში მეოთხეზედ განცხადებანი იყვნენ დაბეჭდილნი. ამ ჟამად-კი „Times“-ის საქმე უშველებელი საქმეა და ზოგიერთ შემთხვევაში პატრიარქული. გაზეთის რედაქციაში და კანტორაში ადგილები მამიდან შვილზედ გადადის ხოლმე; ბევრნი 50 წელს მსახურებენ. ხოლო გაზეთის ხელმძღვანელობა ყოველთვის ახალგაზდებს აქვთ ჩაბარებული. ეხლანდელი დირექტორი, ადმინისტრატორი და ორი რედაქტორი, ოთხივე ერთად, სულ 110 წლისა არიან. დირექტორი რედაქციაში უმაღლესი და უაპელაციო მსაჯულია. იგი თითონ არას სწერს, მხოლოდ საქმეს ყურს უგდებს. უმთავრეს კანტორის და რედაქციის გარდა გაზეთს 20 რეპარტიორი ჰყავს მარტო ერთს ლონდონში და 30 საკუთარი კორესპონდენტი საზღვარ-გარედ და მრავალი შემთხვევითი თანამშრომელი.

*** ცხინვალი. წელს ძალიან სუსხიანი შემოდგომა დაგვიდგა. ვინც ვერ მოასწრო ვენახების ჩაკრეფა, რთვილმა ცოტა არ იყოს დააზარალა. ღვინობისთვის ნახევრიდან დილ დილაობით მუდამ რთვილსა სდებდა, რის გამოც ძალიან ციოდა. ვენახებში ცეცხლი ენთოთ და ისე ჰკრეფდენ. ზოგიერთს დღესაც მოსაკრეფი აქვს ვენახი. კვირიდამ უკვე გვეწვია თოვლი. მთელი დღე თოვდა. გორშიაც გუშინ 4 გიორგობისთვეს მოთოვლა. ქუჩები თეთრად დაიფინა თოვლით, მაგრამ ისევ მალე აალხვო მზემ.

*** რუსეთის გზათა მინისტრს თ. ხილკოვს თან მოჰყვა პეტერბურგში ამერიკიდგან იქაურ ერთის რკინის გზის ინსპექტორი. ეს ამერიკელი ეცდება, ისეთის სისწრაფით მოაწყოს რუსეთში რკინის გზის მიმოსვლა, როგორიც ამერიკაში არის.

*** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, ხმა დადის, რომ მთავრობამ სრულიად აკრძალა ცირკებში ჭიდაობის გამართვა.

*** გაზეთებში სწერენ, რომ ამერიკის შტატების ახლად არჩეულ პრეზიდენტმა მაკ-კინლეიმ სამიოდე დღეში 8,000 ჯერ თურმე ჩამოართვა ხელი სხვა-და-სხვა ლედისა და ჯენტლემენს, რომელნიც მისალოცავად მისულან მასთან. მაკ-კინლეის დღეში 2,000 წერილი მოსდის თურმე. ძლიერ ბევრნი სთხოვენ, შენ სახსოვრად რაიმე ნივთი გამოგზავნეო; ზოგი სურათსა სთხოვს, ზოგი სიგარის ნამწვს... მაკ-კინლეი დილის 5 საათიდგან ფეხზეა. 9 საათამდე წერილებსა სწერს და კითხულობს. 9 საათიდგან საუზმემდე იღებს მთხოვნელებს. 4 საათზედ ეტლით დასეირნობს თავის ცოლით. სადილის შემდეგ სწერს სიტყვას, რომელიც მეორე დღეს უნდა წარმოსთქვას; ღამის 1 საათზედ იძინებს. რა თქმა უნდა, ამგვარ ცხოვრების ატანა მარტო ძლიერ ჯან-საღ კაცს შეუძლიან და მაკკინლეიც ძლიერ ჯან-საღი კაცია თურმე.

*** გუშინ, შუადღისას, ლორის მელიქოვის ქუჩაზედ, მესხიევის ლითოგრაფიის ქვეშ ლუდხანაში ერთმა ახალგაზდა იმერელმა ჩხუბის დროს ხანჯლით დასჭრა მარჯვენა მხარში იოსებ ქაშიბაძე. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. ჭრილობა საშიში არ არის.

*** მეტად სასიამოვნო ამბავს იწერებიან სუფსიდან: მკითხველებმა უკვე იციან, რომ თავად გურიელების მამულში, სუფსაში, აღმოჩნდა ნავთი. ამ ჟამად საქმე უკვე დაუწყიათ და ყოველ დღე ორას ფუთზედ მეტი ნავთი ამოდისო. თუ ნავთი ძლიერად აღმოხეთქა, მაშინ ჩვენს მხარეს დიდი წარმატება დაეტყობა ვაჭრობისა თუ მუშა ხალხის საქმის გაჩენისათვის.

თუ რაოდენ სარგებლობას იძლევა ბაქოში ნავთის წარმოება, იქიდანა სჩანს, რომ წარსულს ოქტომბერს ბაქოდან გაუტანიათ ნავთი 12,150 ვაგონი, ანუ კიდევ ფუთობით რომ ვიანგარიშოთ, შვიდ ნახევარი მილიონი ფუთი. ადვილად წარმოსადგენია, რომ წარმატება დაეტყობა სუფსას და მთელს იმ მხარეს, თუ ნავთის საქმე გაჩარხდა.

*** „ტფილისის ლისტოკი“ სწერს, რომ სომეხთა კათალიკოსს მკრტიჩს ნება დაურთავს ბაქოში სასულიერო სემინარიის დაარსებაზედ და ამ საქმის თაობაზე უკვე გაუგზავნია ბაქოში ეპისკოპოსი ხორენ სტეფანე.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, „სამეურნეო გაზეთი“, გამოცემა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, დიდი ზარალისა გამო, რომელიც მოსდის საზოგადოებას იმის გამოცემაზედ, გამოვა თვეში ორჯელ. აქამდის-კი ყოველ კვირას გამოდიოდა.

*** იქიდანვე გვწერენ: ამას წინად „ნოვოე ობოზრენიე“-ში დასტამბული იყო, რომ სოფ. ჭოღაში (ზუგდიდის მაზრაშია) ებრაელის დუქანი გაძარცვეს ავაზაკებმაო; ამ საქმეში დიდი სიფხიზლე გამოიჩინა ადგილობრივმა ადმინისტრაციამაო.

*** სამეგრელოდან გვწერენ: მეგრელები ძალიან ერთგულად მოეკიდნენ აბრეშუმის მოყვანას. წელს ჩამოსულმა ბერძნებმა სოფლებში დაარიგეს აბრეშუმის თესლი (გრენა) და მოსავალიც სწორედ კარგი იყო. მარტო ზუგდიდის მაზრიდამ გაიტანეს 60,000 მანათის აბრეშუმი. იმედია, შემდეგში უფრო ხელს გამოიღებენ და უფრო გაავრცელებენ ჩვენს მხარეში აბრეშუმის ვაჭრობას. მცოდნე კაცების სიტყვით, წელს აბრეშუმი მშვენიერის თვისებისა ყოფილა.

---

ვაჭრების საყურადღებოდ.

## როტშილდები და მათი ვაჭრობა.

### I

ამ უკანასკნელ დროს ხშირად შეხვდებით ხოლმე სხვა-და-სხვა ცნობებს ევროპისა და ამერიკის მილიარდერებზედ *). ვტყობილობთ, მაგალითად, რომ მდიდარი პულმანი, თუ კი სიძეთ იშოვნის ვისმე გვირგვინოსანს ან მთავარს, მზითვათ მისცემს თავისს ქალს 400 მილიონ მანათს, ან მეორე ამერიკის მდიდარმა ვანდერბილდმა თავისს ცოლს მისცა 20 მილიონი, ოღონდ განვქორწინდეთო. ან და ლონდონელ როტშილდმა თავისი ცხენებისათვის თეთრის მარმარილოსაგან ააშენა თავლა და ელექტრონით ჰანათებსო. ამგვარს ამბებს ხშირად იწერებიან და ეს გვიმტკიცებს იმას, რომ ხალხს სურს ახადოს ფარდა ამ გასაოცარ მდიდრების ბუდეს, გაიგოს როგორ სცხოვრობენ, როგორ იძენენ ამ უთვალავ მილიონებს და სხვ. და სხვ.

ხალხი მართალია—როგორ არ არის საკითხავი, თუ რა საშუალებით, რა მანქანებით შეიძლება, რომ ერთი კაცის ხელში მოგროვდეს იმოდენა ფული, რომლის დათვლასაც უბრალო მათემატიკისა და ანგარიშის უვიცი კაცი ვერც-კი მოახერხებს.

ჩვენც გვგონია, რომ ამ გვარ კაცებზედ მოთხრობა ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება და დაწვრილებით გადმოვიღებთ ერთს წიგნში მოთავსებულ სხვა და სხვა ცნობებს როტშილდის გვარზედ და მათ მილიონებზედ...

ვის არ გაუგონია ჩვენში როტშილდის გვარი? იმის შემდეგ მაინც, რაც პარიჟელ როტშილდმა ხელში ჩაიგდო თითქმის მთელათ ბაქოს ნავთით ვაჭრობა და ისეთი უზარ-მაზარი ქარხნები გააშენა ბათომში.

ახლანდელი როტშილდების სიმდიდრეს, მათ მილიონების რიცხვს კაცი ვერ მოსთვლის და თუ თავიდამ ე. ი. მათ წინაპართაგან არ დავიწყეთ—ვერვინ გაიგებს თუ რა რიგით მოგროვდა ეს უთვალავი სიმდიდრე...

პირველი როტშილდი:

გერმანელების ძველს ქალაქში ფრანკფურტში —მგზავრებს ახლაც აჩვენებენ ერთს ვიწრო ქუჩაში კოხის მზგავს სახლს, რომელშიაც 150 წლის წინად დაიბადა და ცხოვრებდა მაიერ-ამშელ როტშილდი, დამაარსებელი როტშილდების სავაჭრო სახლისა ანუ ბანკისა.

გადამეტება არ იქნება, ვსთქვათ, რომ ამ ახირებულ უბრალო სახლში ხშირად გადასწყდებოდა ხოლმე, იყოს თუ არა ომი ან მშვიდობიანობა სამეფოთა შორის, მინისტრები დარჩნენ თუ არა თავიანთ სამსახურში ან და მოისპოს თუ არა რომელსამე მეფეთა მეფობა... ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე გაუთენია სახელმწიფო კაცებს და სხვა ბანკირებს იმის მოლოდინში, თუ რას ბრძანებს ამ ქოხში მცხოვრები ურია როტშილდი..

პირველმა როტშილდმა 12 წლისამ დაჰკარგა დედ-მამა, რომელთაც უანდერძეს მას სულ ცოტა ფულები და სთხოვეს ნათესავებს, რომ მაიერი რაბინად აღეზარდათ. ნათესავებმაც მაიერი მიაბარეს ურიების სასწავლებელში, მაგრამ ყმაწვილი გრძნობდა, რომ ის რაბინათ არ გამოდგებოდა, ვერც სწავლობდა კარგათ. სამაგიეროთ ჩარჩობა და წვრილ-წვრილ ვაჭრობას ისე სიხარულით ეწყობოდა, თითქოს მართლა და ამისათვის ყოფილიყოს გაჩენილი. იქვე სკოლაში მოჰყვა ზარაფობას, იღებდა სარგებელს, ჰყიდულობდა ძველს ნივთებს იაფად, ასაღებდა ძვირად და ამ საქმეებში ისე გაერთო, რომ ბოლოს სულ მიატოვა ტალმუდის და თორას სწავლა და დაბრუნდა მამისაგან დატოვებულ სახლში.

იმ დროს ბანკების საქმე, საბანკო დაწესებულებანი თითქმის იმავე წერტილზედ იდგნენ, როგორზედაც ახლა არიან. საჭირო იყო საბანკო საქმეებისათვის, ბირჟასა და სხვა და სხვა გეგმების, სავაჭრო პროექტე-

*) მილიარდერი—არის კაცი, რომელსაც 1000 მილიონი აქვს.

## პოლიციის მატიანე

—

გუშინ წინ, ნაშუადღევის ოთხ საათზედ, პოლიციის მეოთხე განყოფილებაში მოვიდა პეტერბურგის ვაჭრის ცოლი გოდზიევისა და გამოაცხადა, რომ ტრამვაის ვაგონში ვიღაც კარგათ ჩაცმულმა კაცმა ჯიბიდან ამოაცალა ქისა, ერთის თუმნითა და სახელმწიფო თეატრის ბილეთით. ქურდი გაიქცა და სადღაც თამამშოვის ქარვასლაში მიიმალა.

—

გუშინ წინ, პოლიციის მეოთხე განყოფილებაში მოხელემ ივანე საყვარელიძემ დააპატიმრა ქურდი, მცხოვრები სოფელ ნიგოზეთისა, შორაპნის მაზრაში, კონსტანტინე ჯაოშვილი. თურმე ამ ჯაოშვილს მოეპარა ხუთი თუმანი ფული და სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები, რვა თუმნისა, მასწავლებელ ქალს იაკოვლევისთვის, რომელიც სცხოვრობს კონსულის ქუჩაზედ, ჯაბაროვის სახლში. ჯაოშვილი პოლიციის მოხელეს ეპოვნა სადღაც დუქანში ბილიარდზედ მოთამაშე, ძლიერ მთვრალი. გაჩხრეკის დროს ჯაოშვილს უპოვნეს ხუთი თუმნიდგან ხოლოდ სამი თუმანი და ყველა მოპარული ნივთები.

—

1 ნოემბერს, სასულიერო სემინარიის პირდაპირ, 2 საათზედ ნაშუადღევს, ნახეს წაქცეული კაცი უგრძნობლად—აღმოჩნდა, რომ ის არის პარიკმახერი არტემ ტერ-მაკაროვი, რომელიც მალე საავადმყოფოში გადაიცვალა.

—

3 ნოემბერს ფერშალმა ტიგრან შახბაზოვმა განაცხადა პოლიციაში, რომ იგი გაქურდეს და წაიღეს იმის სადგომიდამ 100 მან. ღირებული საათი და ტანთ-საცმელი.

—

3 ნოემბერს—პოლიციის მოხელემ დაატუსაღა ქურდები: გასპარ ტერ-ზახაროვი, დავით მიხეილაძე და ისაკ ნავდარაშვილი, რომელთაც აღიარეს, რომ რამდენიმეჯერ ჩაუდენიათ ქურდობა ქ. თბილისში; პოლიციამ ეს ქურდები გაგზავნა მომრიგებელ მოსამართლესთან, რომელმაც ოთხ-ოთხი თვე საპყრობილე გადაუწყვიტა იმავე დღეს.

## თეატრის მატიანე.

—

გაზეთები სწერენ, რომ პარიზში დრამატურგები არტისტის ქალის სარრა ბერნარის პატივსაცემლად გამართავენ დღესასწაულს. სადღესასწაულო სადილს დაესწრებიან საფრანგეთის ეხლანდელნი გამოჩენილნი მწერალნი ფრანსუა კოპპე, გერადია, კატულ-მენდესი, როსტონ ტერიე და მრავალნი სხვანი, რომელნიც წაიკითხავენ სარრა ბერნარის პატივსაცემლად თავიანთ ლექსებს და შემდეგ სახელოვან არტისტ ქალს შეამკობენ ოქროს გვირგვინით. გარდა ამისა, ამ დღის ნიშნად მოსჭრიან ოქროს მედალს და მიართმევენ სარრა ბერნარს.

## სასამართლოს მატიანე.

—

### უსპენსკის სიტყვა.

უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიმაჩნია გავიხსენო ის გარემოება, რომელმაც გამოიწვია გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ დაბეჭდილი წერილები.

1888 წელს, 8 ნოემბერს, თბილისში თავი მოიკლა ერთმა კაცმა, რომელსაც არც მე ვიცნობდი პირად, არცა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ თანამშრომელნი იცნობდნენ და არც უმრავლესობა თბილისის საზოგადოებისა. მიუხედავად ამისა, ეს ამბავი იმ წამსვე მთელს თბილისს მოედო, მთელი ქალაქი ამ ამბავზედ ლაპარაკობდა. მეორე დღეს გაზეთში დაბეჭდილ იყო შემდეგი შენიშვნა.

„სამშაბათს, 8 ნოემბერს, „კავკაზის“ სასტუმროში თავი მოიკლა კომისიონერმა მანიევმა. მიზეზი შემდეგი ყოფილა: მანი წინად ბათომში ვაჭრობდა და ბოლოს გაკოტრდა. მაშინ მანიევმა კომისიონერობას მოჰკიდა ხელი. მიდიოდა ხოლმე საზღვარ გარედ და მოჰქონდა სხვა-და-სხვა საქონელი. ამას წინად მანიევმა მოიტანა თბილისში ერთის საზღვარ-გარეთელის ვაჭრისაგან ფეხთ-საცმელების ნიმუშები, რომელიც, რა თქმა უნდა, მანიევს არ ეკუთვნოდა. მანიევს თაიროვისა ემართა 850 მანათი. როგორც ჩვენ გვატყობინებენ, თვით თაიროვი თანხმა იყო დაეცადა, ვიდრე იგი შესძლებდა ამ ფულის გადახდას; მაგრამ კერძო ვექილი პლიუშჩესკი ამ აზრისა არ იყო. მან გადასცა აღმასრულებელი ფურცელი ვიღაც ვასილჩენკოს, რომელიც მივიდა მანიევთან და აუწერა ფეხთ-საცმელის ნიმუშები და ორი ზამთრის პალტო. 8 ნოემბერს დანიშნულ იყო ვაჭრობა აწერილ ნიმუშების გასაყიდად და სწორედ იმ დროს, როდესაც სასამართლოს ბოქაული შევიდა მანიევის ოთახში, მან რევოლვერი დაიცა გულში და თავი მოიკლა. განსვენებულს დარჩა ვენაში ცოლი და ხუთი შვილი“.

ამ შენიშვნიდგანა სჩანს, რომ მაშინ მანის გვარიც-კი სწორედ არ ვიცოდით და მანიევს ვსწერდით მანის მაგიერად. მიუხედავად ამისა, თქვენ დარწმუნდებით, რომ მანისა, თაიროვისა და პლიუშჩევსკის შესახებ ცნობა უტყუარია.

ამაოდ სცდილობს პლიუშჩევსკი დაამტკიცოს, რომ მის შესახებ „ნოვოე ობოზრენიეში“ ცილის წამება იყო დაბეჭდილი. საჭირო არ არის კაცი იურისტი იყოს, უიმისოდაც ყველამ იცის, რომ სადაც ბოროტ-განზრახვა არ არის, არც ცილის წამებაა იქა. რაკი ჩემ მიერ აწერილი ამბავი მართალია, მე ვერავინ გამამტყუნებს, რადგანაც კანონი მხოლოდ ტყუილისა და ცილის წამებისათვის სჯის კაცსა.

სად არის მერე ჩვენს გაზეთში ტყუილი, ან ცილის წამება? განა მანიმ თავი არ მოიკლა? განა მიზეზი თავის მოკვლისა მართლა ვექსის და საქონლის გაყიდვა არ იყო? განა პლიუშჩევსკიმ არ დავალა ვასილჩენკოვს, მანის საჯაროდ გაეყიდე ის საქონელი, რომელიც ვალის ერთს მეასედსაც-კი ვერ დაფარავდა? განა თაიროვმა არა სთხოვა პლიუშჩევსკის, აწერილ საქონლის გაყიდვა გადასდეო? განა პლიუშჩევსკიმ შეასრულა მათი თხოვნა, ვინც მას ეს საქმე მიანდო? მგონია, რომ ეს საქმე საკმარისად გამოირკვა ოლქის სასამართლოში და ზემოდ მოყვანილ ამბავზედ ეჭვსაც-კი ვერავინ მიიტანს.

შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ცნობა გაზით „ნოვ. ობოზრენიეში“ არ იყო უტყუარი. მაგალითად, შეიძლება იკითხოს ვინმემ, თვით მანი კი ძლიერ პატიოსანი კაცი იყო თუ არაო. მაგრამ პლიუშჩევსკიმ რომ დაამტკიცოს კიდეც, რომ მანი დიდი ავაზაკი იყო, და არა საცოდავი, უბედური კაცი, ამით საქმე მაინც არ იცვლება.

მართლაც-და ეჭვს გარეშეა, რომ მანის თავის მოკვლის მიზეზი სხვის საქონლის აწერა და გაყიდვა იყო. ეჭვს გარეშეა აგრედვე, რომ პლიუშჩევსკიმ არ შეასრულა თხოვნა თაიროვისა და არ გადასდო გაყიდვა. აი უტყუარი ამბავი. ეს რომ მართალი არა ყოფილიყო, პლიუშჩევსკის შეეძლო წერილი მოეწერა ჩემ-

---

ბის შესასრულებლად მარჯვე, მხნე მუშაკი და ჩვენი მაიერიც გაჰყვა ამ საქმეს, მიებარა სამსახურში განოვერის ბანკის ოპენჰეიმს.

რამდენისამე ხნის შემდეგ მაიერი იმდენად შეისწავლის საქმეს, ისე ბეჯითად მიჰყავს ყოველივე, რომ ხდება ბანკირის ამხანაგათ... მაიერი მუშაობს, მანათს მანათზედ მიაწებებს, აგროვებს ყოველ საათობით—სურს საკუთარი ბანკი გახსნას—მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა თანხა აქვს... საჭიროა კიდევ ორი-სამი წელიწადი... ეს დროც გაივლის... მაიერი ხელს მაგრათ ჩამოართმევს თავის ამხანაგს ოპენჰეიმს, გამოეთხოვება და ბრუნდება ისევ თავის ქოხში. შეირთავს ცოლს, გედულას, შნიპპეს ქალს... მზითევი მოჰყვება თუ არა, არავინ იცის... ეხლა მაიერ როტშილდი ფრანკფურტის ბანკირად ხდება... წყნარად, ნელის ნაბიჯით მიდის წინ, სიმდიდრისაკენ. არც ერთ ცუდ საქმეში თავის სახელს არა სვრის. დაუწყებენ პატივისცემას—ყველა ეძახის პატიოსან ურიას... ეს პატიოსანი ურია, ბეჯითი მუშაკი—რომელიც ასე მცირე მოგებას ჯერდება, რომ ყველას უკვირს—რამდენისამე წლის შემდეგ, თითქოს ზღაპრული მეფის წყალობით, ხდება მილიონერი! როგორ? იკითხავთ თქვენ—აი რას სწერენ ამის თაობაზედ:

„იმ დროს ესენ-კესელის მთავრად იყო ვილჰელმ IX, რომელსაც 56 მილიონი ქონება ჰქონდა. ეს ფულები სრულებით უძრავათ ეყარა მთავრის ხაზინის ყუთებში. როდესაც მაიერმა სახელი გაითქვა და დაიწყეს ლაპარაკი, რომ იმის ხელში „ფულები იზრდებაო“ ვილჰელმმა მოუწოდა მას, მიაბარა თავისი მილიონები და აი სწორედ აქედამ იწყობა ის „ოქროს მოგროვება“ და როტშილდების სიმდიდრე.... მაიერმა ზარდა მთავრის მილიონები, ილო თავისი საკომისიო, სარგებელში წილი დაიდო და ერთს მშვენიერს დღეს გახდა მილიონერი... ერთს მილიონს მალე მეორე მოჰყვა, მესამე..., მეოთხე...

დასჭირდა თუ არა რომელსამე სახელმწიფოს ფულების სესხება, მაიერი აქ არის... იმის საშუალებით ყოველი სანდო მთავრობა, რამდენიც ნებავს, ისესხებს.. ვსთქვათ დანიის მართებლობას დასჭირდა ოცი—ოცდაათი მილიონის სესხება და მაიერს კი ამდენი არა აქვს.... მაშინ მაიერი როტშილდი ეუბნება დანიის მინისტრს, მიბოძეთ ქაღალდი, აქცია, ან ობლიგაცია, რაც გნებავთ დაარქვით, მხოლოდ გარკვევით ჩასწერეთ შიგა, რომ ამა და ამ რიცხვს ამდენს და ამდენს სარგებელს მომცემთ და ფულებს მე გიშოვნითო. მაშინ დაიწყეს იმ ქაღალდების ბეჭვდა, რომელთაც ახლა სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებს ეძახიან—აძლევდნენ ამ ქაღალდებს როტშილდს და იგი თავის მხრით ნაღდ ფულათ ახურდავებდა ამ ქაღალდებს. დანიშნულ დროს მთავრობა აძლევდა სარგებელს... ასე ამ გვარად მაიერი არა თუ თავის ოჯახობაში საჭირო კაცად ითვლებოდა, არამედ ყველა მთავრობისთვის სასარგებლო პირად შეიქმნა და უმატებდა მილიონს მილიონებზედ... მაგრამ ბოლო ყველა ფერს აქვს და მაიერსაც მოადგა ეგ ბოლო:

1812 წელს მოკვდა ფრანკფურტში. ის იყო დაუღალავი მუშაკი, პირდაპირი, მომთმენი, დიდი ანგარიშის ნიჭის პატრონი, იცოდა დროს და კაცის გარჩევა, მარტო საიმედო საქმეს ჰკიდებდა ხელს, მისდევდა ცოტა სარგებელს, ოღონდ კი ეგ სარგებელი უტყუარი ყოფილიყო—და როდესაც აუარებელი ქონება შეიძინა—თვით მეფენი სხვა და სხვა ქვეყნისა ცდილობდნენ იმის გაცნობას, მასთან კავშირის დაჭერას“! ამას ამბობდნენ მისი დროის და მისივე მცოდნე პირნი.

როდესაც მაიერ როტშილდმა იგრძნო, რომ ეთხოვებოდა ამ წუთისოფელს—მოუწოდა თავის შვილებს ანსელმს, სოლომონს, ნატანს, შარლს და ჯემს თავისს სასიკვდილო სარეცელთან და ეს ანდერძი დაუგდო: «ნუ დასტოვებთ რჯულსა თქვენსა ნურაოდეს, იმოქმედეთ ერთად, თანხმობით, ახალის ნურას გამოიწყებთ, სანამ დედას არ დაეკითხოთ და თქვენ მაშინ ყოველს მდიდარზე უფრო მდიდარნი შეიქნებით». ამ სიტყვებთან ერთად დალია მან სული...

(შემდეგი იქნება)

თვის, რომ მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის ამ საქმეში, მაგრამ მან ეს არ მომწერა, რადგანაც ყოვლად შეუძლებელი იყო უარ-ყოფა იმ ამბებისა, რომელიც მთელმა ქალაქმა იცოდა. მაშასადამე ყველას უფლება აქვს, რა სახელიც უნდა უწოდოს პლიუშჩევსკის მოქმედებას, და ამისათვის მას ვერავინ დააბრალებს ცილის წამებას.

რაც შეეხება ,,ნოვოე ობოზრენიეს", გაზეთს სრული უფლება-კი არა, პირდაპირი მისი მოვალეობა იყო გამოეთქვა თავისი აზრი პლიუშჩევსკის მოქმედებაზედ. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ჩვენი აზრი-კი არა, თვით საზოგადოების აზრი წარმოვსთქვით ამ საქმეზედ. არც მე და არც გაზეთის სხვა თანამშრომელს არ გვინდოდა ცილი დაგვეწამებინა პლიუშჩევსკისათვის, რადგან არც ერთი არ იცნობდა მას. ჩვენ, როგორც მთელი საზოგადოება აღელვებულნი ვიყავით ამ ულმობელ საქციელით და უიმისოდაც უბედურ კაცის დამცირებით და მის უკანასკნელ ქონების—პატიოსანის სახელის შელახვით. ჩვენ არ შეგვეძლო არ აღელვებულიყავით, როდესაც ვხედავდით, რომ ეს შეუბრალებელი დაცინვა ადამიანისა, მისი საშინელი წამება კანონის ძალით ხდებოდა, რადგანაც პლიუშჩევსკიმ ყველა ამის გულისათვის იარაღად იხმარა კანონი და სამართალი. ჩვენ ვნახეთ, რომ იმ კანონით, რომელიც დაწერილია საზოგადოების სასარგებლოდ, პლიუშჩევსკი სარგებლობს ისეთის საქმეებისათვის, რომელიც კანონმდებელს სრულიად არ ექმნებოდა სახეში. სასამართლოს ბოქაული, წარმომადგენელი „კანონისა" არ უნდა იყოს გარდაქცეული იარაღად, რომელიც პლიუშჩევსკიმ იხმარა ვალის დასაკმაყოფილებლად კი არა, რადგანაც მანის აწერილი ქონება არაფრად ღირდა, არამედ მხოლოდ თავის სურვილის დასაკმაყოფილებლად.

ამ გვარად, ბატონებო, ჩემი განზრახვა კეთილი იყო და შემცდარი რომ ვიყო რამშიმე, დიდის სიამოვნებით აღვიარებდი ამას, მაგრამ არა! ეხლაც, 8 წლის შემდეგ, ჩემი აზრი სრულებით არ შეცვლილა პლიუშჩევსკის მოქმედებაზედ.

პლიუშჩევსკის რომ ყური დავუგდოთ, იგი პოეტის სიტყვით „ალპიის მთების თოვლზედ უფრო სპეტაკა!"...

გნებავთ, მაწამეთ, მაგრამ მე არა მრწამს მისი სისპეტაკე! ეხლაც, როგორც ამ 8 წლის წინად, მე ვამბობ, რომ კაცის სიძულვილი—საძრახისია; რომ კანონის მოხმარება საკუთარის ბოროტის განზრახვის ასასრულებლად—უუკიდურესი უსამართლობაა,—ერთის სიტყვით, მე ვამბობ, რომ ჩემმა ბრალმდებელმა თითონვე მაიცხო ადამიანის სისხლი, რომელსაც ვერ მორეცხს მას თქვენი სასჯელიც, შესაძლებელიც რომ იყოს თქვენ მიერ ჩემი დასჯა, ან საფიქრებელი..

პლიუშჩევსკის საჩივარიდგანა სჩანს, რომ მან ჩემი ბრალდება დაამყარა მხოლოდ იმაზედ, რომ ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება არ ეთანხმება გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში" დაბეჭდილ წერილებს მის შესახებ; მაგრამ მე ის მაკვირვებს, როგორ არ ესმის პლიუშჩევსკის განსხვავება სასამართლოს და მწერლობის შორის. სამართალი, მაგალითად, არას სჯის მოვახშეს, რომელიც „ნესტორიკას" ძალით პერანგსა ხდის ღარიბს კაცს, მის უსინიდისო ხელში ჩავარდნილს. მაგრამ ეს ჯერ იმას არ ნიშნავს, რომ მწერლობამაც ამ გვარ სავალალო ამბავს ყურადღება არ უნდა მიაქციოს. მწერლობა სასჯელთა დებულების ამა თუ იმ მუხლით-კი არ ხელმძღვანელობს, არამედ თავის სინიდისის მიხედვით იქცევა.

ჩვენ სრულებითაც არ გავცილებივართ იმ წესს, რომელიც შემოფარგლული გვაქვს კანონით. ჩვენ მხოლოდ ავწერეთ გარემოებანი, რომელიც წინ მიუძღვოდნენ მანის თავის მოკვლას და რომელნიც მიჰყვნენ ამ ამბავს. გარემოებათა გამო ჩვენ სრული უფლება გვქონდა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, მიუხედავად იმასა, რაც უნდა შორს წავსულიყავით ჩვენს მსჯელობაში. მაგრამ ჩვენ არ გავსცილებივართ იმ აზრს, რომელიც საზოგადოებასა ჰქონდა შედგენილი ბ-ნს პლიუშჩევსკიზედ, ამას ამტკიცებენ სხვა გაზეთებშიაც დაბეჭდილი წერილები ამავე საქმის გამო.

ყველა გაზეთები ერთგვარად სჯიდნენ პლიუშჩევსკის საქციელს და ესეც ხომ იმას ამტკიცებს, რომ პლიუშჩევსკიმ მოიპოვა საზოგადოებაში ისეთი სახელი, რომელსაც ვერ შესცვლის ვერც ერთის გაზეთის წერილი, რა შინაარსისაც უნდა იყოს იგი.

თუ პლიუშჩევსკიმ თავის სიცოცხლეში ერთხელ, ან იქმნება მეტჯერაც, კანონით ისარგებლა, რომ მანიზედ ჯავრი ეყარა, ეს საკმარისი არ არის, რომ შელახულ იქმნას კანონი მწერლობით ცილის წამებაზედ. ამიტომ ვსთხოვ პალატას დასტოვოს ხელ-უხლებლად განაჩენი ოლქის სასამართლოსი, რომელმაც მე გამამართლა, რათა ამით განამტკიცოს ის ჭეშმარიტება, რომელიც ზოგიერთებს ხშირად ავიწყდებათ, რომ სახელი ჩვენი მოიპოვების საქმეთა ჩვენთაგან, და არა ცხლანდელ ზოილთა და მათის ნაწერებითა.

პალატის განაჩენი უკვე იციან ჩვენის გაზეთის მკითხველებმა: უსპენსკის მიუსაჯეს 13 დღით დაპატიმრება და 166 მანათი ჯარიმა.

---

## ცნობა სასამართლოდან.

—

12 ნოემბერს.

სასამართლო პალატაში დანიშნულია საქმე ფიდო ჯარაშვილისა და ასიკო საყურიაშვილისა ტფილისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომელთაც ბრალდებათ გაძარცვა და გაუპატიურება სონა მჭედლიშვილისა.

16 ნოემბერს.

იმავე სასამართლოში პეტრე მგელაძის, ანტონ ჭაჭანიძის, პავლე და ივანე ნაფეტვარიძეების საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომელთაც ბრალდებათ 942 და 263 მუხ. წეს. დად. დანაშაულება (ცრუ მოწმობაზე).

—

იმავე პალატაში—იულონ ლომიას საქმე—ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, რომელსაც ბრალდება 115 და 1 ნაწ. 1455 მუხ. წეს. დად. (მკვლელობაზე).

19 ნოემბერს.

იმავე პალატაში—ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე კონსტანტინე მამარდაშვილის საქმე, რომელიც მტყუნდება 2 ნაწ. 1455 მუხ. სას. დად. ძალით.

—

გიორგი ლომიას საქმე, ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ დანაშაულობისა გამო 1647 მ. სას. დად.

—

იმავე სასამართლო პალატაში, ტაგუ სანაიას საქმე, ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე, დამნაშავეს ბრალდება ყალბი ქაღალდის შედგენა.

—

იმავე პალატაში სად. აბაშაში მოვაჭრე ბიჭილო თოფურიას საქმე—ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე დანაშაულობისა გამო თოფურიასი 1657 მუხ. სას. დად. ძალით (საბუთების მოპარვაზე).

23 ნოემბერს.

ნესტორ აბაშიძის საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, დანაშაულობისა გამო 1483 მუხ. სას. დად. ძალით.

—

— იულონ, გიგო, ლავრენტი და ხოსრო მალაზონიებსა და ყარამან ტულუშის საქმეები ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე დანაშაულობისა გამო 1579 მუხ. სას. დად. ძალით.

—

— ილიკო ქვათაძისა საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზედ, დანაშაულობისა გამო 9 და 2 ნაწ. 1455 მუხ. სას. დად. ძალით.

—

— მეთოდე და ათანასე გუგეშაშვილის საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე დანაშაულობისა გამო გუგეშაშვილებისა 1 ნაწ. 1485 და 1 ნაწ 1465 მუხ. სას. დად.

—

30 ნოემბერს.

— კიკო ერაძის საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს განჩინებაზე სააქციზო უწყების ნება დაურთველად არაყის გამოხდის თაობაზედ.—


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი.

გამოცემა ჭელიძისა და იმედაშვილისა

**რას იცინი?**

არაკი თომაანთ კობასი

ფასი 3 კაპ.

(4—1 ს.)

ВЪ ТИФЛИСѢ ОТКРЫТА ПОДПИСКА

**на 1897 годъ**

**НА АРМЯНСКУЮ ЕЖЕДНЕВНУЮ**

политико-литературную газету

**„НОРЪ-ДАРЪ"**

*(четырнадцатый годъ изданія).*

Газета „Норъ Даръ" въ 1897 году будетъ выходить по прежней программѣ.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**: съ пересылкою и доставкою по Россійской имперіи: на годъ—10 руб., на полгода—6 руб., на три мѣсяца—3 руб. 50 к.; заграницу на годъ 40 франковъ.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

**ПОДПИСКА** принимается исключительно въ конторѣ газеты „Норъ-Даръ" въ Тифлисѣ, на Лорисъ-Меликовской улицѣ, домъ № 19.

**ОБЪЯВЛЕНІЯ** принимаются на всѣхъ языкахъ по умѣренной платѣ въ Тифлисѣ—въ конторѣ газеты и въ Москвѣ—въ Центральной конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К°., Мясницкая, д. Спиридонова. Адресъ: *Тифлисъ, въ редакцію* „Норъ-Даръ".

За редактора **Минасъ Берберянъ**.

Издатель **Спандаръ Спандарьянъ**.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Ноября, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. სოლ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვაჩ. გუნია